# სახალხო გაზეთი

№ 203 კვირა, 9 იანვარი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 203

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. საგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Большья Ванятская ул., N 12, Семену Пашалашвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისთვის

წელიწადი მეორე | **სახალხო გაზეთი** | წელიწადი მეორე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მომავალ 1911 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს წელს გამოდიოდა.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

**გაზეთის ფასი დამატებიანად:** წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის ფასი ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50 | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 3. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის" კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

„სახალხო გაზეთის" კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ, редакція „Сахалхо газети".

დამდეგ 1911 წლის განმავლობაში „სახალხო გაზეთის" დამოუკიდებლივ განზრახულია გამოიცეს რამდენიმე კრებული სამეცნიერო, ფილოსოფიური და სამხატვრო შინაარსისა. თითო წიგნი იქნება 300—500 გვერდამდე. გამომცემლებთან შეთანხმებით „სახალხო გაზეთის" წლიურ ხელის მომწერლებს თითო წიგნი დაუთმობათ 50 კაპ., სხვებისთვის კი ეღირება არა ნაკლებ თითო მანეთისა.



კნ. ეკატერინე იოსების ასული ბეგთაბეგოვისა და თავ. ივანე გრიგოლის ძე ბეგთაბეგოვი მეუღლით, უხდიან დიდს მადლობას ყველას, ვინც პატივი სცა და ძვირფას მიცვალებულის

**თ-დ ლუკა როსტომის ძის ბეგთაბეგოვის**

დასაფლავებას დაესწრო, და წერილებით, თუ დეპეშებით სამძიმარი გამოგვიცხადა. (1—23—1)



ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 44 (3)

კვირას, 10 იანვარს, 1911 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

**ლევ ტოლსტოის** სახლი მუზეუმის სასარგებლოდ, წარმოდგენილი იქნება

## მეუფება წყვდიადისა,

დრამა 5 მოქ. და 6 სურათად, ტოლსტოისა, თარგ. მეველესი.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: დავითაშვილი, ვიქტორელი, კარგარეთელი, ლეჟავა, ლოლუა, პიერეტა, მოთამე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: არადელი, გუნია, გვარამე, ყიფიძე, ზარდალიშვილი, მდივანი, მაკარაძე, მგალობლიშვილი, მამფორია, ციციშვილი, შალიკაშვილი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგადოებისა.

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.



= ზუბალაშვილების სახალხო სახლი =

**ოთხშაბათს, 8 იანვარს,**

ქართული სცენის მოყვარეთა მიერ და ქ-ნი ა. ჩირგაძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა ქართულ სცენაზე

## შერლოკ ჰოლმსი

პიესა 4 მოქმ., თარგმ. ჯუღელისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: ბაზერურიძე, ჩირგაძე, ციმაკურიძე, ბ-ნნი: ანაშვილი, ბადრიძე, ინაშვილი, გულაშელი, მელიქოვი, მეტრეველი, რატიშვილი, თაზიშვილი, ჭანკვეტაძე, ჭიაურელი, ზოხელი და შანშიაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადმინისტრატორი ა. ბადრიძე.

ბილეთები იყიდება კასაში 10—2 ს-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე.



კვირას, 9 იანვარს, დილის 11 საათზე

## სამეურნეო ბანკის სადგომში

დანიშნულია კრება

## კახეთის სარკინის-გზო „არტელის"

მოწყობაზედ. კრებაზედ დასწრება ყველას შეუძლიან. (2—21—2)



## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გაზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. პოპოვი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოღოსოვი დ. ვ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½ 12½ საათ.

ვ. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ.- 6.—530)



## წაიკითხეთ ხვალ ორშაბათის ქართული გაზეთი „თემი" (1—უ.—1)



## დაიბეჭდა და იყიდება

ტფილისის ქართულ ფილარმონიული საზოგადოების შემდეგი გამოცემანი:

**ზაქ. პ. ფალიაშვილის:**

№ 1. „**მრავალ-ჟამიერ**"; მგოსნის აკაკი წერეთლის 50 წლ. იუბილეს გამო ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფორტეპიანოს აკკომპანიმენტით ფასი 30 კაპ.

№ 2. **ორი ქართული რომანსი:** ა) „ნანა შვილო" ფასი 40 კ. და ბ) „ახალ აღნაგო სულო" ფასი 40 კაპ.

№ 3. „**ქართული სადღესასწაულო საგალობლები**" (ქართლ-კახური კილო) წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესისა ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფასი 1 მან. 25 კაპ.

№ 4. **რვა ქართული სახალხო სიმღერა** ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ფორტეპ. აკკომპანიმენტით ფასი 1 მან.

№ 5. **ქართული სახალხო სიმღერების კრებული** (იმერული, გურული, რაჭული, სვანური და ქართლ-კახური), ფონოგრაფის შემწეობით ჩაწერილი. ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება ყველა სამუსიკო მაღაზიებში

და აგრეთვე წიგნის მაღაზიებში: წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა და „Новая Рѣчь"-ში (გოლოვინ. პროსპ. მირზოევის სახლი), ქუთაისში: წიგნის მაღაზიებში: თ. მთავრიშვილისა და ძმ. მირაქოვებისა. მთავარი საწყობი ტფილ. ქართ. ფილარმონიული საზოგადოების გამგეობაში (საპიორის ქუჩა N 18) (10—315—7)



ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების

## სამუსიკო სკოლა

(საპიორის ქუჩა, ქლენტის სახლი № 18).

მოწაფეთა მიღება: ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა, კონტრაბასი, სიმღერისა (solo), თეორიისა და ნოტების კითხვის (solfegio) და ხოროს კლას. დაიწყება 2 იანვ. ყოველ დღე (კვირა-უქმე გარდა) მთელ სასწავლო წლის განმავლობაში, დილის 10 საათ. ნაშუადღევის 2 საათამდე, და საღამოს 5—7 საათამდე, სკოლის კანტორაში. ახლად მოწვეულნი არიან მასწავლებლად კიდევ: ფორტეპიანის კლას. ტფილ. საიმპერ. სამუსიკო სასწავლებელ დამთავრებული **თამ. ს. შაბურთოვისა** და სკრიპკის კლას. გამოჩენილ სკრიპკის დამკვრელ. სოლისტ **ფრანც ონდრიჩეკთან** (ვენაში) კურსდამთავრებული **ვ. კ. რომანოვსკაია.** სწავლის ფასი: ფორტეპ., სკრიპკისა, ვიოლონჩელისა და კონტრაბასის კლასებში 60 მ. წელიწადში, მხოლოდ სიმღერა (solo) 75 მ., თეორია, და ნოტების კითხვა 15 მან. წელიწადში, სწავლის ფულის გადახდა მოხდება ნახევარი წლისა წინ და წინ.

**სწავლა დაიწყება 7 იანვრიდან.** (8—332—4)



რადგანაც გვსურს ხელ მოკლე ხალხს შედარებით იაფ ფასად მივაწოდოთ

## პაპიროსები,

რომელიც ყველა თუთუნის მწეველის დააკმაყოფილებს

## ა. ენფიანჯიანცის

ქარხანამ გამოსცა პაპიროსები:

## „ლ ე ვ", 20 ცალი 5 კაპ.

პაპიროსები „ლ ე ვ ი" ისეთი მშვენიერია ყოველმხრივ, რომ ერთხელ თუ დაიგემოვნეთ, მხოლოდ მისი წევას დაიწყებთ,

რადგანაც ამ ფასად არსებულ ყველა პაპიროსებზე უკეთესია. (10—317—6)



მოითხოვეთ ბუნებრივი

## კახური ღვინოები

თავ. ალექ. მ. ჯორჯაძისა და ამხ.—ს.

**საკუთარ ვენახებიდან.**

საწყობი მიხეილის პროსპექტზე, სახლი № 86; აგრეთვე ისყიდება საუკეთესო მაღაზიებსა და რესტორანებში ხელმისაწვდომ ფასად. (30—186—28



ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

## მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—6.—23)



**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)



**ექიმი** შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.



**ექიმი** ქ. ქუთაისში თ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო ავებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ცირალოვის სახლი, (50—15—2)



**ექიმი** ჯაფარიძე

ქ. ქუთაისში

იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—58



ქ. ქუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულების

## საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

## ივ. ბოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ. იქვე წამლობენ სიფილს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606". (30—405—14)



## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვიტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღით და ღამით. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო ვ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

**კარშინა ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

**მუსხელიშვილი გ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

**პაპოვი ვ. ა.** ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.

**სოზილევსკი გ. გ.** ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცი. კონსულტაცი., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—6.—367)



**ექიმი** რ. დ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაკინოვის ქუჩა N 7. (თ.—180—69



**ექიმი** კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)



**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე კირპიჩნის ქ., № 9. (უ)



**ექიმი** ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—303


## ტფილისი, 9 იანვარი

**კახეთის რკინის გზა და არტელები.** დღეს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია ადმინისტრაციის მიერ ნება-დართული კრება, არტელის წესდების შესამუშავებლად. მალე კახეთის რკინის გზის გაყვანა დაიწყობა. ჩვეულებრივად ამისთანა შემთხვევებში მოიჯარადრენი იღებენ ხოლმე სამუშაოს; მერე ის მოიჯარადრენი თავის წილად მუშებს იქირავებენ. მოიჯარადრენი, რასაკვირველია, თავის გასამრჯელოს აცილებენ და ფულის იმ სარგებელსაც, რომელსაც საქმეს ანდომებენ. მოიჯარადრენი შუამავალნი არიან საქმის მიმცემთა და საქმის ამღებთა შორის. ამ შუამავლობისთვის ისინი განსაზღვრულ გასამრჯელოს იღებენ. თუ მომუშავეებმა მოახერხეს და მუშათა არტელი შეადგინეს, მაშინ ეს არტელები პირდაპირ კავშირს დაიჭერენ საქმესთან და მის მოიჯარადრეებსაც თავიდან აიცილებენ.

წესდება არტელისა კერძო უკვე შეუმუშავებიათ. საჭიროა ამ წესდების დაწვრილებითი განხილვა და ჩვენს დღევანდელ პირობებთან შეფარდება. ამიტომ, ვისაც ეს საქმე ეინტერესება და შეძლებაც აქვს საქმეს რაიმე დახმარება აღმოუჩინოს, უნდა ამ კრებას დაესწროს.

საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ განაწილდება სამუშაო, ვის ჩაუვარდება ხელში, ფრიად დიდმნიშვნელოვანი საკითხია. უმთავრესი ნაწილი რკინის გზისთვის გადადებულ ხარჯისა მუშის ხელფასად უნდა წავიდეს. ამიტომ, თუ არტელის დაარსება მოხერხდა და მან პირდაპირი კავშირი დაიჭირა გამგეობასთან, თუ მოიჯარადრეების მეტოქეობა თავიდან აიცილა, დიდი ეკონომიის გაკეთება შეიძლება.

დაწვრილებით არტელის წესდებას მაშინ შევეხებით, როდესაც უმთავრესი პრინციპები უკვე გამორკვეული იქნება საზოგადო კრებაზე. დღეს კი ჩვენ მხოლოდ მივეგებებით არტელის დაარსების აზრს და ვურჩევთ ჩვენი ქვეყნის გულ-შემატკივართ დაესწრონ კრებას, რომ თავიანთი რჩევითა და ცოდნით კარგს აზრს კარგი მიმდინარეობა მისცენ.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**საზღვარ-გარედ.**

8 იანვარი.

**ლონდონი.** ლონდონის მესტამბეთა კავშირების წარმომადგენლებმა დაადგინეს გაიფიცონ, თუ კვირაში 48 საათის მეტს ამუშავებენ.

**ასუნსიონ.** (პარაგვაი) შეერთებულმა პალატებმა პრეზიდენტის თხოვნა გადადგომაზე მიიღო. პრეზიდენტად სამხედრო მინისტრი, იარა აირჩიეს.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს ადენიდან ტელეგრამით ატყობინებენ: იმამ იხიამ ოსმალებს ომი გამოუცხადა და შეიარაღებული რაზმები ყოველ მხრივ დაგზავნა. ადგილობრივი მთავრობა სტამბოლიდან სამხედრო ძალებს თხოულობს. ტახტის მაძიებელი იარისი (?) ოსმალეთის ჯარის წინააღმდეგ მოქმედობს. აზირის ოლქის უმთავრესი ქალაქი დეკემბრიდან მოკიდებული დღემდე ალყა შემორტყმულია. ქალაქში გუბერნატორი და მრავალი ჯარის კაცი გამომწყვდეულია.

**ლონდონი.** ოტავიდან იუწყებიან გამილტონში (ონტარიოში) წარმოდგენის დროს მორდინს ხელიდან ხმალი გაუვარდა, რამპის მახლობლად მჯდომ მილიონერ რობერტ შივერკს თავში ჩაესო. ერთმა მაყურებელმა ხმალი ამოაძრო და ერთმა მსახიობმა კი საკმეველის თასს ხელი წამოჰკრა და პირქვე დაამხო: სცენას ცეცხლი მოედო. დამსწრე საზოგადოება დაამშვიდეს.

## რუსეთი

**პეტერბურგი.** ძლიერ ნამქერის გამო დონის-როსტოვსა და ტფილისს, ბაქოს, კავკავს, ნოვოროსიისკს და ეკატერინოდარს შუა ტელეგრაფი არ მოქმედობს.

**დერბენტი** დილის 3 საათ. და 40 წამზე 5 წუთის განმავლობაში მიწა იძვროდა.

**პეტერბურგი.** მიწად-მომწყობ სამმართველოს მინისტრთა საბჭოში წინადადება შეაქვს, რომ ქალებს სასოფლო-სამეურნეო სკოლებში მასწავლებლობის უფლება მიეცეთ.

## შავი ჭირი

**ხარბინი.** 5 იანვრამდე სამხრეთ მანჯურიის გზაზე სად. დალნიში შავი-ჭირით 9 გარდაიცვალა, მუკდენში—60, ყუანჩენძში—137, სხვა სადგურებზე—57.

# ახალი ამბები

## ტფილისი

✦ **გუბერნატორების კრება.** ტფილისში კავკასიის სანამესტნიკოს გუბერნიებისა და ოლქების უფროსთა კრება დაიწყო. კრებამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს საკითხი საერობო გადასახადის განაწილების შესახებ.

✦ **ოსური სკოლის დახურვა.** სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა: დაუყოვნებლივ დახუროს ოსური სკოლა. დანარჩენი სკოლები 10 იანვარს დაიხურება.

✦ **ვლად. წერეთლის საქმე.** 1909 წ. ქიათურის მახლობლად დასწვეს ვლად. წერეთლის სახლი. დამნაშავე ვერ აღმოაჩინეს, ამის გამო გუბერნატორმა სოფელს 15 ათას მანეთამდე აზღვევინა. ეს ფული ხაზინაში ინახებოდა. როგორც ეხლა შევიტყეთ, იგი ვლად. წერეთელს ამ მოკლე ხანში ხაზინიდან უკვე მიუღია.

✦ **ექსკურსია.** კიევის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის „სომეხთა სათვისტომო“-ს ექსკურსია უკან დაბრუნდება 15 იანვარს, საღამოს, საფოსტო მატარებლით № 4. ჩაწერა 10 იანვრამდე. ცნობებისთვის მიმართეთ: გ. ს. საჰაკიანცს, შელკოვნიკოვის ქუჩა, 10. 4 საპოლიც. უბანი.

✦ **გლეხთა ვალდებულობის მოსპობა.** როგორც ვწერდით, პეტერბურგში საუწყებათაშორისო თათბირმა დაასრულა კავკასიის ნამესტნიკის პროექტის განხილვა: მემამულეთა წინაშე გლეხთა ვალდებულების მოსპობის შესახებ. ამ პროექტით ამიერ კავკასიის გლეხთ მესაკუთრეთა უფლებანი, მიეცემათ და აუცილებლად უნდა გამოისყიდონ მთავრობის დახმარებით სანადელო მიწები. გამოსასყიდად აღებულ სესხის გასტუმრება გლეხთ შეუძლიანთ 28 წლისა, 41-ისა და ან 56 წლის განმავლობაში. პირველს შემთხვევაში უნდა იხადონ 6 პროცენტი, მეორეში—5 და მესამეში—$4^1/_2$ პრ. მოკლე ხანში ნამესტნიკის პროექტი განსახილველად მინისტრთა საბჭოს გადაეცემა.

✦ **ხაბავშო კითხვა.** დღეს ავჭალის აუდიტორიაში ქ-ნი კევლიაშვილი წაიკითხავს: „წითელ ფარანს“-ს. სამკურნალო საზოგადოების შენობაში ქ-ნი დიდია—„ტახტის მემკვიდრე და მერცხალი.“ ნავთლუღში ქ-ნი უთმელიძე—„ქალაქელი ძამია“-ს და „თომას თავგადასავალს.“ დასაწყისი ყველგან 11 საათზე.

✦ **გადასახლებულის შეპყრობა.** 8 იანვარს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო ოზურგეთის მაზრის მცხოვრები კ. კ. მდივანი, 24 წლისა, რომელიც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნდა.

✦ **კავკასიის უნივერსიტეტი.** 6 იანვარს ნამესტნიკის თანაშემწეს, სენატორს ვატაცის წარუდგნენ ქალაქის საბჭოს იმ კომისიის წევრნი, რომელთაც დავალებული აქვთ გაანაღდონ კავკასიის უნივერსიტეტისთვის სხვა და სხვა პირისა და დაწესებულების მიერ აღთქმული ფული. კომისია სენატორთან განზრახულ უნივერსიტეტის საქმეთა გამო იყო.

✦ **ბამბის კურკის ვაჭართა თიხი.** როგორც გავიგეთ, ბამბის კურკის ვაჭარ-მყიდველთ ერთმანეთში პირობა დაუდიათ, ამიერ კავკასიაში კურკის ფასს არ აუწიონ. მთელი მხარე რაიონებად დაუყვიათ. ყოველ რაიონში ერთი ვაჭარი უნდა იყოს და კურკის ყიდვა მხოლოდ წინადვე დადებულ ფასით შეუძლიან. თუ სხვა ვაჭარი შეეცილა და ფასი ასწია, მაშინ პირობის დამრღვევი რამდენიმე ათას მანეთს ჯარიმას გადაიხდის. სინდიკატს ასეთი ფასი დაუდვა. ერევნის გუბერნიაში—60 კაპ., ხოლო განჯისაში —55 კაპ. დასავლეთი საქართველო დაუთმიათ სინდიკატის მთავარ დამაარსებელისთვის ადესელ ებრაელ გოლუმბისთვის, რომელმაც წელს ქუთაისში განიზრახა ადგილობრივ ბამბის მყიდველთა (ბეგოვგოკიელოვების) თანხმობით სინდიკატის შეკვრა და ბამბის ფასების დაწევა. ამ სინდიკატს მხნე წინააღმდეგობა გაუწია ადგილობრივმა ამხანაგობამ — კოოპერატივებმა და სოფლელთ ბამბა რიგიან ფასში გააყიდვინა: ფუთი 4 მან. 20 კაპ. და უფრო მეტად მაშინ, როდესაც მყიდველთ განზრახული ჰქონდათ ბამბის ფასი 2 მან. 40 კაპ. ზემოდ არ აეწიათ.

✦ **კახეთის რკინის გზა.** სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. მ. ა. ანდრონიკაშვილი ამ დღეებში ტფილისში თავის ბინაზე იწვევს კრებას, კახეთის რკინის გზის თაობაზე მოსალაპარაკებლად.

✦ **ტრამვაი.** აქამდე მსურველს შეეძლო ტრამვაის წლიური ბილეთი შეეძინა. დღეიდან ეს წესი აღარ იარსებებს, თანახმად ბელგიის უსახელო საზოგადოების მთავარ გამგეობის განკარგულებისა.

✦ **ნავთლუღის სკოლა.** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, ნავთლუღის სკოლა ახალს სადგომში მოათავსოს, სახელდობრ რეიტერის ქუჩაზე რეიტერისეულ სახლში.

✦ **„ესპერანტო“.** დღეიდან ტფილისის პირველ ვაჟთა გიმნაზიაში შეუძლიანთ ჩაწერა იმ პირთ, რომელთაც სურთ საერთა-შორისო ენა „ესპერანტო“ შეისწავლონ. იმ პირთათვის, რომელთაც პირველი კურსი გაიარეს, პრაქტიკული კურსები ამავ შენობაში გაიხსნება.

✦ **გაზეთი „თემი“.** ხვალ გამოვა ორშაბათის გაზეთი „თემი“ გრ. ნ. დიასამიძის რედაქტორობით.

✦ **„ცხოვრება და ხელოვნება“** გამოვიდა კვირეულ ჟურნალის „ცხოვრება და ხელოვნების“ მორიგი (5) ნომერი.

✦ **აგრონომ ტიმოფეევის უცხოეთში მოგზაურობის შედეგი.** ამ დღეებში აგრონომი სტეფანე ტიმოფეევი უცხოეთიდან ტფილისში დაბრუნდა სადაც იგი გაგზავნილი იყო მიწად-მოქმედების მთავარ სამმართველოს მიერ ძვირფას მცენარეების მოვლა გაშენების გასაცნობ-შესასწავლად. ტიმოფეევმა დაჰყო უცხოეთში $2^1/_4$ თვე, რომლის განმავლობაშიც მან ინახულა სამხრეთ საფრანგეთისა, ალჟირისა, იტალიასა, საბერძნეთსა და ოსმალოში ზეითუნ-ზეთის გამოსახდელი ქარხნები, ზეთისხილის სანერგეები და სხვა. 5 იანვარს ბ. ტიმოფეევმა წარუდგინა მიწათ-მოქმედების მთავარ მმართველის რწმუნებულს ბ-ნ არხიპოვს მოკლე ანგარიში უცხოეთში მგზავრობის შესახებ, რომ მელშიაც აღინიშნა, თუ რა რიგად კეიძლება ჩვენში ზეთის-ხილის მოვლა-გაშენებისა და ზეთის გამოხდის გაუმჯობესობა. ამ ჟამად მიწათმოქმედების მთავარ სამმართველოს აქვს მოწყობილი ართვინის ოლქში ზეთის-ხილის ხეების საცდელი სანერგე, საიდანაც შეიძლება დაკლებულ ფასებში ნერგების შეძენა. ამ წლიდან იქ ბ-ნ ტიმოფეევის ზედამხედველობით მოაწყობენ ზეთის გამოხდასაც გაუმჯობესებული ქანქანების საშვალებით.

✦ 7 იანვარს ზოოლოგიამ ტფილისში მეშვერთ 23 უჰასმოროტი.

✦ **გამოვიდა ჟურნალი „სალამური“ № 2** შემდეგი შინაარსით: **სალამური** დექ. ნ. ნხავაძისა; **გაუთავებელი ვიზიტები**—ბურნუთისა; **სალამური** დექ. ნ. ზომლეთელისა; **ღმერთების ბრძოლა**—ბოქა ნ. ჩხრიკვაძისა; **გიჟი იაგორა**—მოთხ. ირეთელისა, **ახალი ამბები. საყურადღებო ამბები, კორესპონდენციები, ფოსტა** და სხვა.

—

**შეცდომის გასწორება** 4 იანვრის გაზეთში ახალ ამბავში „ექსკურსია კიევში“ შეცდომით ეწერა ადრესი **Гор. Гори Георгію Александровичу Намора́дзе**. უნდა იყოს **Гор. Гори Георгію Андреевичу Намора́дзе**.

## წერილი სახღვარ-გარეთიდან

(რიზე).

ბუნების ახირებულებას ვერავინ გაიგებს: ერთს ყველაფრით შეამკობს, მეორეს ყველაფრით ღატაკს გამოიყვანს. რიზე სწორედ საოცნებო კუთხეა. წარმოიდგინეთ მაღალ მთის რკალი, მთა ზომიერად დაშვებულია ზღვის პირისაკენ და აი ამ რკალში მოქცეულია დიდი გუბე, რომლის ნაპირზედაც გაშენებულია ქალაქი. აქ ვერ იპოვნით ქოხმახებს, სახლები გარედან ყველა ლამაზია, კოხტად აშენებული. ქუჩები ვიწროა, შედარებით სუფთა. თვითონ ხალხი სათნოდ სუფთა, ზრდილი, მორიდებული და ფხიზელი: ყველა საქმეშია გართული. იშვიათი თავაზიანობა გაკვირვებთ. ნაპირზე რომ გადმოვედი, მოვიკითხე ერთი ჩემი კარგი მეგობარი მაჰმადიანი ქართველი, რომელსაც ბედმა სამშობლოდან დროებით გასვლა არგუნა. ჩემდა საუბედუროდ, ის ტრაპიზონს წასულიყო.

ერთს საყავეში გავიგე, რომ რიზეში ერთი ჩემი კარგი ნაცნობი ყოფილა. გავექანე მისკენ. აღმოჩნდა, რომ მას დროებით ბინა აქვს ერთს ადგილობრივ მეტად პატივცემულ და მოპურმარილე პირთან. არც მეგობარმა და არც მასპინძელმა აღარ გამიშვეს. დავმშვიდდი და შევუდექი ქალაქის დათვალიერებას.

ყველგან გალცებთ საერთო სიმარტივე. არავინ არ იბერება, არ იბღვირება. თქვენ წინ სდგას სოლქო სასამართლოს თავმჯდომარე და წევრებით მარტივად, სხვებთან განურჩევლად ჩაცმული, სასიამოვნოდ მომღიმარე, პოლიციელი უიარაღო და მშვიდად მოსიარულე. აფიცერი შედარებით მარტივად ჩაცმული და მოქალაქის და არა მგლის გამომეტყველებისა და ქცევის მქონე. ხშირად ვაჭარი საათობით სტოვებს ღია დუქანს, მაგრამ შიში არაფრის არ უნდა გქონდეთ, აქ ქურდობა მეტად იშვიათია. ავ-კაცობა ძნელი წარმოსადგენია. ეტყობა, ეს ხალხი დიდ კულტურის ხანგრძლივ გავლენის ქვეშ ყოფილა, ფხიზელ ბუნებას და ადამიანის ხანგრძლივ შრომას შეუქმნია თავმოყვარე, პატიოსანი, სხვისი გამტანი და ღონით სავსე ხალხი. რასაკვირველია, ჯერ კიდევ ბევრია აქ მოსაწყობი, მაგრამ ეხლანდელ ოსმალეთის პოლიტიკურ ცხოვრების ხელმძღვანელთ დიდი იმედი აქვთ. „წარმოიდგინეთ, კაცი ოცდაათს წელიწადს ავად იყოს, ერთს წელს ხომ ვერ მორჩებაო“,— მითხრა ერთმა შეგნებულმა რიზელმა და იმავე დროს წყევა-კრულვით მოიხსენია ალთინის ტყვე, ძველი სულთანი აბდულ-ჰამიდი.

აქაური ცხოვრების მეტად დამახასიათებელია ყავახანა და სატუსაღო. აქ ბევრი ყავახანაა. ეს ერთგვარი კლუბია, შეჰდიხართ თავისუფლად, ერთს ფინჯანს ყავას მოითხოვთ, რომელიც ორ კაპეიკად ჰღირს, და შემდეგ საუბარს შეექცევით.

ერთს მაგიდასთან ვაჭრებს მოუყრიათ თავი და ბაასობენ, მეორესთან—გაზეთს კითხულობენ და პოლიტიკური სჯა-ბაასია, მესამესთან—ნარდის თამაში ამნაირად. აქ ყველა ჰპოვებს თავის შესაფერ წრეს, აქ იბადება და ყალიბდება პოლიტიკური განზრახვანი, აქ მუშავდება საზოგადოებრივი აზრი. სჩანს, ყავახანა აქაურ ცხოვრების მოთხოვნილებად გადაქცეულა.

მაგრამ ყველაზე უფრო გეუცხოვებათ თვით ყავახანის სტუმართა სხვადასხვაობა. იქ აფიცერი ნარდს თამაშობს სრულიად უბრალო მუშასთან, აქ მაგიდაზე ახალი გაზეთებია გაშლილი და ყველა, ბეგიც, ვაჭარიც, სოფლის კაციც შემოჰსხდომიან, კითხულობენ გაზეთებს და ერთმანეთს [illegible] უზიარებენ. დავინახე ყველაფერი ეს და ჩემთვის აშკარა გახდა, თუ როგორ მოახერხეს ახალგაზრდა ოსმალებმა, ესე იგი უმთავრესად სამხედრო ხალხმა, აფიცრებმა და ინტელიგენტებმა მთელი რევოლუცია, თითქმის უსისხლო.

ვნახე ეს და გამახსენდა ჩვენი თავისთვისაც გამოუსადეგარი და სხვისთვისაც ურგები კუდაბზიკა, ფეოდალურ წრიდან გამოსული ინტელიგენტები კლუბის დაარსებაზე ორსამ წელიწადს ბაასობდნენ საქმეს აფერხებდნენ, ხელმძღვანელთ დასცინოდნენ და მხოლოდ იმას გაიძახოდნენ: ვიღაც მეწვრილმანეები უნდა ამოვისვათ გვერდშიო? ერთმა თუმცა ქართული გვარის მატარებელმა, მაგრამ უკვე გადაგვარებულმა მოსამართლემ—პირდაპირ ფეოდალური დაიწყო და საჯაროდ განაცხადა: მე როგორ მეკადრება მაგათს საზოგადოებაში შევიდეო. ეს დიდგვაროვნობა, გამოფიტულ ფეოდალურ მედიდურობით გამოკვებული და კაკარდის თაყვანის ცემით გაბერილი, ბევრს ჩვენს საქმეს აფუჭებს, მოთიშავს ისედაც ჰქარდს ჩვენს საზოგადოებას. აქ კი ყველა ძმურად, ამხანაგურად და ზრდილობით ეპყრობა ერთმანეთს.

არა ნაკლებ საყურადღებოა სატუსაღო. ტუსაღს მთავრობა დღეში საზრდოდ აძლევს ორ პურსა და წყალს. ტუსაღები ყველა გრძელის დახებითაა შეიარაღებული. პოლიცია იშვიათად შებედავს მათთან და თუ შევა, 15-ოდე კაცი. თუ სატუსაღოს ხალხი გაურჩდა, პოლიციას ერთად ერთი ღონე აქვს, ციხეს წყალს მოუწყვეტს და ამით იმორჩილებს მათ.

ყავახანაში ვიჯექი და მეგობარს ვესაუბრებოდი. იქვე ახლო იჯდა თავზე ყაბალახ მოხვეული, ხანში შესული კაცი; გაიგონა ჩვენი ლაპარაკი თუ არა, მაშინვე ჩვენთან მოვიდა და გამოგველაპარაკა. ის ესკი—ტრაპიზონელი აღმოჩნდა. ესკიტრაპიზონი არის სოფელი, რომელიც მდებარეობს რიზედან რვა ვერსის მანძილზე აღმოსავლეთით. აქ სულ ქართველები სცხოვრობენ. ისინი გადმოსახლებულან ბათომის არემარედან, სცხოვრობენ კარგად, ენა და ძველი სიმღერები სრულიად დაუცავთ. შემდეგ კი რა იქნება, ვინ იცის: უპატრონოდ კაცი სახლშიაც არ ვარგა, ხოლო სამშობლო ნიადაგს მოწყვეტილი, რაღა იქნება. ტყუილად კი არ ამბობს შექსპირი:

# ოხუნჯი

## 1910 წელი ტფილისში

„ოხუნჯის“ რედაქცია თავის სამღვთო მოვალეობად სთვლის, აღნუსხოს ყველა ის სულის დამამშვიდებელი დიადი მოვლენანი, რომელნიც 1910 წელს ტფილისში მოჰხდა.

მხცოვანმა მგოსანმა აკაკიმ გოლოვინის პროსპექტზე ორი არშინი ტერიტორია შეიძინა, სადაც წიგნების დარგვას აპირებს.

ტრამვაის ვაგონი ვერის დაღმართზე დაქანდა. მგზავრები მხოლოდ დასახიჩრებითა და სიკვდილით გადარჩნენ. ამის გამო ტრამვაის დირექტორი ბატაილი სამსახურში დააწინაურეს.

რუსულ გაზეთის ჟურნალისტებს კალმის გაყიდვა შესწამეს. გამოირკვა, რომ ყველა მართალია, გარდა ბატაილისა, რომელმაც მირზოევს ფული აღუთქვა და აღარ მისცა.

თავად-აზნაურობას კახეთში გასეირნება მოესურვა. ამიტომ კახეთის რკინის გზის გაყვანის ნებართვა აიღო.

ა. ი. ხატისოვი „ლურჯ ფრინველს“ დაედევნა და ხაფანგში მოჰყვა, რომელსაც სახელად ქალაქის მოურავის სავარძელი ჰქვიან.

ი. ს. ჯაბადარმა გრიგორიანობა მიიღო. ამიტომ ქალაქის გამგეობის წევრად იქმნა არჩეული.

გადახდილ იქმნა იუბილე ქართულ კლუბის 100 წლის არსებობისა. იუბილეს დასასრულს არა ჩვეულებრივი ამბავი მოჰხდა: დეპუტატთა საკრებულომ პირი დაალო და ქართული კლუბი ქართველ მამასახლისებით სულ გადაყლაპა.

1910 წელი დაგვირგვინდა გოთუასი და ამირაჯიბის დაგვირგვინებით.

**ისტორიკოსი.**

## ახალი ამბავი

გორის მაზრის ნაფიცმსაჯი დ. ბაქრაძე გაამართლეს ყველა საქმეში.

ბანკის წარმომადგენელთა ერთი ჯგუფს გადაუწყვეტია მომავალ არჩევნებზე წამოაყენონ იმის კანდიდატურა დირექტორობის თანამდებობაზე ასარჩევად. ექსპერტები ამბობენ არჩევნები უზრუნველყოფილიაო.

ქ. შ. წ. კ. საზოგადოებაში ამ ჟამად დიდი მუშაობაა. გამგეობის წევრები „ფრაკებს“ აწეულნი ცარბიან გამგეობიდან. როგორც ამბობენ, ისინი მიეშურებიან შორეულ პროვინციებში სკოლებისა და სამკითხველოების დასაარსებლად. თავისი საქმეები კი გამგეობამ დროებით ვასოს ჩააბარა.

თელავიდან დეპო გვატყობინებს: შიხაკ თათუზოვს საპროგრამო სიტყვა წარმოუთქვამს, რომლიდანაც სჩანს დამდეგ 1911 წლიდან უფრო მეტს აგინებს ხმოსნებსაო.

— მღ. მაღალაშვილმა, ელიზბარაშვილმა და ალადაშვილმა კორესპონდენტ „ასოს“ დიდი სადილი გაუმართეს.

ქართული ენა. როგორც გვატყობინებენ, კახელ თავად-აზნაურებში ფეხს იკიდებს ქართული ენა.

ტფილისი. გამოვიდა ახალი გაზეთი „სინათლე“, რომელსაც რაც უნდა ბევრი უბეროთ, მაინც არ ჩაქრება, რადგანაც თავის თავადაც ჩამქრალია.

გამოვიდა ი. პ. როსტომაშვილის ახალი ბროშურა შემდეგის სათაურით: „ადუღებული წყალი ჰამეთ, ჰური, ხორცი სვით“. წიგნი შეიცავს 6006006 გვერდს და უკანასკნელ გვერდზე მაინც აწერია: „შემდეგი იქნებაო“.

ტფილისი. გაიხსნა ახალი აფთიაქი. ისყიდება ზოგიერთ ქალთათვის შემდეგი წამლები: ბორკილები—კაბებზე შემოსარტყმელად; სარეცხის თაფხები—თავზე დასახურად; ცხელი შამფურები — თმაში გასაყრელად; ოხოლ-ფეხები—პოლსაპოშკის ქუსლებზე გასაკეთებლად.

**მიკიტა.**

## მხეცთა მოტრფიალე

ნივალ და ვნახე
ეშმაკის მახე.
თვითონ პატრონი შიგ გაბმულიყო;
იგინებოდა,
იწყევლებოდა,
თავგუნაც იქვე ატუზულიყო.
ეშველებოდა,
იცრემლებოდა,
მაგრამ პაწაწას სულ ვერ აშნევდა
უფრო დიდ მხეცებს,
ახმახს თუ ბეცებს,
გაჭირვებული თვისკენ იწვევდა.
მოვიდა „ვირი“,
გადასცა სტვირი,
მოვიდა „ბატი“ უძლვნა კალამი;
გახარებულმა,
აღტაცებულმა
სხვა პირუტყვებსაც მისცა სალამი.
—
მათთან ეშმაკი ავლავ მუსაიფობს.
და არც ეძრახვის „სული სულს
იცნობს“
ძველი ანდაზა ჩვენ ამას გვამცნობს;

**გარდანქეშანი.**

## გასართობი

— ქალაქის თვითმმართველობის მთავარ ბუჰგალტერს დანდუროვს წელიწადში 4.008 მან. აქვს ჯამაგირად. ვთქვათ, სამის თვის ჯამაგირი ერთბაშად მიიღო და იმ ფულიდან 396 მანეთი კომერციულ სასწავლებლის იმ მოსწავლეს მისცა, რომელიც მას ანგარიშს ასწავლის. მაშინ თვითონ რაღა დარჩება?

— თუ წელიწადში 4.008 მან. აქვს თვეში 334 მან. ჰქონია. სამს თვეს ერგება 1002 მან. ამ ფულიდან 396 მანეთი რეპეტიტორს რომ მისცეს, თვითონ დარჩება 606 მანეთი.

— ექვსას ექვსი დარჩება? ჰო, ეს კარგია. მაგისთანა ბუჰგალტერს მაგის მეტი ვერა უშველის რა.

**ჯაბარბეგი.**

## ნანა

**განცხრომის შვილს.**

ბედის ჩარხი წინ გადექცა,
სამოთხისკენ გაიტანა,
ღმერთი შენ გყავს... გწყალობს ზეცა
მაშ იძინე, ნანი, ნანა!
თავი მსხვილი, სახე ბრტყელი,
კუჭიც უნდა მაგისთანა!
აკვანს გირწევს ბელზებელი,
განისვენე, ნანი, ნანა!
კაცთ-ყლაპია, სტომაქ ხარბი
ვერსად ვპოვოთ თქვენისთანა,
ბნელში სცოცავ, ვითა ზღარბი,
ბედმა გითხრათ ნანი ნანა!

**ხათათბაროხ.**

თბილს დიაღ, სასახლეში,—
ყინვამ იქ ვერ მიატანა,
თავსა ჰმონებთ სამოთხეში,
და ძილს ჰმონებთ,—ნანი ნანა.
ვერც ერთ მხარეს ვერა ვპოვოთ
დეპუტატნი თქვენისთანა,
ვალოდკა ჰქუხს, ილანძღება,
თქვენ-კი ხვრინავთ,—ნანი ნანა!
მემარჯვენემ, კადეტებზე
გული მაგრად მოიფხანა,
კადეტებს-კი სარეცელზე
სძინავთ... ნანა, ნანი—ნანა!

**ტლინკაძე.**

## გამოცანა

რაღაცა სურდო გამიჩნდა,
ღმერთო, რამდენი მატარა!
წელში მომხარი ვაჟ-კაცი,
ვით უსუსური-პატარა.
მე ხომ მატარა, მატარა,
თითონაც ჩემთან იარა;
ხან წინ წავიდა, ხან უკან
და ხან გარს შემომიარა;
ხან ზურგზე ავიდ ჩავიდა,
ხან გულზე გადამიარა;
მაინც არ იქნა! და ბოლოს
გულს დამაჩნია იარა.
რა ფერისაა? რა გითხრათ?
არც შავი, არცა ლურჯია.
შენ გაღრიალებს და თითონ
მუდამ ყრუი და მუნჯია.
არც რკინა არის, არც თუჯი...
დიახ, რკინაა, თუჯია...
გამოიცანით, წაიღეთ
ოქრო, სულ ბლუჯა-ბლუჯია.

**ბარონ-ფონ-ბეგლარიონ.**

### ჭიერში თეატრის აშენება.

როგორც გავიგეთ ახალციხის ქართველ საზოგადოებას განუზრახავს ჭიერში ააგონ თეატრი. როდესაც თეატრს დაამთავრებენ, პირველად ითამაშებენ „ჰამლეტს“

**მთის-არწივი.**

## განცხადებანი

100 წელიწადია ვეძებთ ნამდვილ ქართველ გამდელს. მომყვანი დიდს ჯილდოს მიიღებს. ადრესი: ბელინსკის ქუჩა, № 2. იკითხეთ ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა დეპუტატთა საკრებულო.

„ოხუნჯი“-ს რედაქცია აცხადებს, რომ გარდანქეშანის პირველი გამოცანაზ ახოსპირელმა ახსნა. პრემიაც მიიღო.

რედაქტორ-გამომცემელი პირაშვი.

„შტო, რომელიც მოსწყდეს თავის მშობელსა ხესა, დასჭკნეს და გაჰხმეს, ჯოჯოხეთის ცეცხლს შეეკეთოს“.

განსაკუთრებით საფიქრებელია, როცა კაცი მოსწყდება თავის წარსულს, ჩავარდება სხვა ისტორიულ და სოციალურ პირობებში. ამ რყევის დროს ბევრი სულით ეცემა, ბევრი წიხლს ჰკრავს თავის ხალხს.

აქ შავშელებს შევხვდი. შავშელები ბათომშიაც მინახავს, უმეტესად ისინი აბანოებში მსახურებენ. მათი ლაპარაკი კაცს აკვირვებს. ისეთ ქართულს ლაპარაკობენ, რომ წმინდა ლიტერატურული ენაა. ხოლო უფრო ღრმა და შნოიანი, ვიდრე ეხლანდელი ჩვენი მეგაზეთეების ენა. ჩვენდა სამწუხაროდ ამათ ჩვენგან პირი იბრუნეს და ალბად, მთელ შავშეთში არ მოიპოვება არც ერთი კაცი, რომელმაც ქართული წერა-კითხვა იცოდეს.

მთელ ჭანეთს ტრაპიზონამდე და იქითაც დიდი ვაჭრული კავშირი აქვს საქართველოს სხვა და სხვა კუთხესთან. აქ სიმინდი საკმაო არ მოდის. მთიან-გორიანი ადგილებია, სულ თოხით მუშაობენ. ამიტომაც ჯერც ბევრს დისთესენ და მოსავალიც დიდი არ მოვა ნიადაგის უვარგისობის გამო. ასე რომ აქაურ კაცს მოსავალი რვა თვემდე თუ გაჰყვა, დიდია. ამიტომაც ამათ შემოაქვთ სიმინდი მთელის იმერეთიდან, შემოაქვთ ნავთიც. სამაგიეროდ აქედან გააქვთ დაფნი და სხვა. აქ შემთხვევით შევხვდი ერთს ქართველ ვაჭარს, რომელსაც სხვა და სხვა ადგილებში რამდენიმე ასი ფუთი დაფნის თესლი შეუგროვებია და მიაქვს სამეგრელოში და გურიაში გასასყიდად. სხვა ქვეყნებში მთავრობა და საზოგადოებრივი დაწესებულებანი ყოველსავე დახმარებას უწევენ ხალხს ახალ კულტურულ ნაბიჯის გადადგმაში. ჩვენში კი თვით ხალხმა დამოუკიდებლად შეიგნო, რომ საჭიროა მთელი მეურნეობა—მარტო სიმინდის მოყვანაზე დამყარებული მეურნეობა—დასტოვოს და თანდათან გადავიდეს უფრო მაღალ კულტურაზე. შეუდგა ჩაის ხის გაშენებას, დაფნის მოვლას, ახალ წესზე ვაზის გაშენებას, მაგრამ რა ჰქნას? დღემდისაც დახმარების მაგიერ ხალხი მხოლოდ მტრულ მოპყრობას ჰპოულობს, წარმოიდგინეთ, თითო ფუთ დაფნის თესლზე შვიდი მანათი ბაჟია. აშკარაა, რომ აქ კულტურულ ხელშეწყობაზე ლაპარაკი მეტია. მიუხედავად ამისა, ხალხი მაინც ალღოთი გზას იკვლევს და შორეულ ქვეყნიდანაც მოაქვს თესლი თავის მეურნეობის გასაუმჯობესებლად. მართლაც დაფნი ცოტა მოვლას მოითხოვს, გაშენდება ისეთ ადგილებზე, რომელიც სხვაფრივ გამოუსადეგარია, სარგებლობა კი შრომასთან შედარებით მეტად დიდი მოაქვს. დაფნი თავისუფლად შეიძლება გაშენდეს მთელს იმერეთში და კახეთშიაც.

როგორც რიზეს არემარეზე, ისე მთელ ტრაპიზონის ვილაეტში მეტად გავრცელებულია თხილის გაშენება. ყოველ ნავთსაყუდელში გემს ათობით და ოცობით ადგება თხილის ტომრებით ჰავსებული ფელუგა. აქაური თხილი გემრიელი და მასთან თხელ კანიანიცაა. ადგილობრივმა ხალხმა კარგად იცის ამ თხილის ღირსება, იცის, რომ ადვილად შეიძლება მეტოქეც გამოუჩნდეს სხვაგან და ამიტომაც ნერგს არავის აძლევს. მოჰხდება, თურმე, რომ უარს ვერ მოახერხებენ და ნერგს გამოიმეტებენ, მაგრამ მაინც თავისას იზმენ, ნერგის ფესვებს ცხელ წყალში ამოავლებენ და ამ ნაირად ატყუებენ ნერგის მსურველთ.

მაინც ნაცნობების შემწეობით ნერგის გატანა შესაძლებელია. და აქაურ ნერგს რომ გაავრცელებდენ ჩვენში, მეტად კარგი იქნებოდა.

აქედანვე გააქვთ კანაფი; კანაფი და სელი ჩვენშიაც ბევრი მოჰყავდათ ერთს დროს. ეხლა კი კანაფს საშინაო სახმარად თუ მოიყვანენ. ხოლო სელი ცოტაოდენი მოჰყავთ ქართლში, გორში და სელის ზეთსა ხდიან.

აქ, სხვათა შორის, გავიცანი ერთი ქობულეთელი, რომელიც დიდი ხანია გადმოსახლებულა, მაგრამ დღემდისაც მეტად აინტერესებს სამშობლოს ამბები. ჩვენი მდგომარეობა მასაც გაგებული აქვს, მეც ვუამბე ბევრი რამ. ქობულეთელმა მიპასუხა: „რავა არ ვიცი, დითვი რომ თავზე გაწვეს, ბაბაი (მამა) დაუბახეო“, მაგრამ, გული კი მაინც საგულეს გქონდესო და მუდამ შენ საქმეზე, შენ მდგომარეობაზე უნდა ფიქრობდეო. სამწუხაროდ, ჩვენი პოლიტიკოსნი სულ წინააღმდეგ იქცევიან. ისინი უფრო თავის მამულეთა გრძნობის წარყვნასა და გათახსირებას ემსახურებიან.

ნამი.

## გაუფრთხილდით სიძველეთ

მახსოვს დიდებული მოქანდაკე როდენი „მატინში“ სწერდა საფრანგეთის უძველეს ტაძართა თაობაზე, სჩიოდა მათს უპატრონობას, საზოგადოებას სინდისში აგდებდა, რომ ამ ეროვნულ შემოქმედების მომაწავებელ და თვალსაჩინო ხუროთ-მოძღვრების ნაშთებს ასე უგულოდ ნუ აბახინჯებთ, ნუ ჰლესავთ, პირვანდელ სახოვნებას ნუ ბლალავთო.

გამახსენდა ჩვენი სიძველენი, ჩვენი ეროვნულ შემოქმედებით გამთბარი დიდებული ხუროთ-მოძღვრებანი, რომელნიც „გულშემატკივართა მზრუნველობით“ „გადააკეთეს“, თვალწარმტაცი, დიადის ხელოვნებით ნახატი კედელნი გაჯითა და კირით შეთხუპნეს და ჩვენს ეროვნულ კულტურის ისტორიის თვალსაჩინო საბუთი წარსტაცეს.

ასეთივე ამბები ხდება სხვა დარგებშიაც. ათასი მსურველია სიძველისა; ზოგი ძველ სიგელებსა ჰყიდულობს, ზოგი—ძველს ოქრომჭედლობის ნაწარმოებს, ზოგი—სურათებს და სხვა.

ყოველი ძველი ნივთი თუ ნაწერი, რასაც კი ეროვნული ელფერი ჰმოსავს, რასაც ქართულ შემოქმედების დაღი აზის, უძვირფასესი განძია.

ამისათვის გაუფრთხილდით ყოველივე სიძველეს და გროშის გულისათვის ნუ დაუკარგავთ ქვეყანას ისტორიულ კულტურულ, ცოცხალ საბუთებს.

მენავე.

## მოწერილი ამბები

**სვიმონეთი.** (ქუთაისს მაზრა) მიუხედავად იმისა, რომ სოფელი სვიმონეთი ქუთაისთან დაახლოვებულია—განათლებით უფრო დაბლა სდგას სხვა სოფლებზე. რაც სოფელი ქალაქთან ახლო მდებარეობს—ქალაქის კულტურა თავისებურ ელფერს უნდა სდებდეს ხალხის შეგნება-გონებაზე. ეს მიდამო უყურადღებოდ არის შემკული... ქუთაისზე თექვსმეტ ვერსზე დაშორებული და იმედი უნდა გვქონოდა, რომ სოფელი კულტურული იქნებოდა.. მაგრამ წინააღმდეგი ხდება. სოფელში დაარსდა სამკითხველო.. თუმცა უკანასკნელი არსებობს, მაგრამ ფორმალურად, რადგან შიგ არვინ დადის.

ხე—ლი

**ახალციხე.** იყო დრო, რომ ბნელეთის წყვდიადით იყო მოცული ახალციხის ქართველობა და თითქმის ჭირივით ეზიზღებოდა ჟურნალ-გაზეთების კითხვა.

ადგილობრივი ქართველები ბ-რით დუდ გამოცემების კითხვას მიეჩვივნენ, ხოლოდ 1905 წლის მოძრაობის შემდეგ, სწორედ იმ დროიდან იწყება პერიოდულ გამოცემათა გავრცელება.

რამდენსაც მახსოვს, მოძრაობის ხანებში ადგილობრივ ქართველობაში სდებოდა „ცნობის“—„მოგზ“ 40—50 ცალი, „ნიშადური“ 20—30; „ცნობის ფურცელი“ მრავალი; „ჩვენი კვალი“ 5—6 და სხვ.

ეს ორი სამი წელიწადი იქნება, რაც შესამჩნევად იკლო პერიოდულ გამოცემებზე ხელისმომწერთა რიცხვმა, წარსულის წლის განმავლობაში ადგილობრივი ხელისმომწერნი იყვნენ: „სახალხო გაზეთ“-ზე 5—6 კაცი; „განათლება“-ზე—12; „ნაკადულ“-ზე—5—6; „ჯეჯილ“-ზე—2; „მომავალზე“—3.

ხელის მომწერნი ერთდროულ გამოცემებზე: ამხ. „სორაპანი“-საზე 20—30; „ალიონი“-საზე—30; „კულტურაზე“—10; იაკ. გოგებაშვილის შეხედ თხზულებაზე—17; ეკ. გაბაშვილის ნაწერებზე—20; კლდიაშვილის თხუზულებაზე—25.

იმედია, წელს უფრო მეტად გავრცელდება ჩვენში ჟურნალ-გაზეთების ხელის მოწერა და ადგილობრივ საზოგადოებას გონებით განვითარებაში ხელს შეუწყობს.

აქვე გავახსენებ ჩვენ ქართველობას, რომ რადგანაც ჩვენი მეურნეობა დაცემულია მის აღსადგენად და გასაძლიერებლად დიდად ხელს შეუწყობს გაზ. „მომავალი“. საჭიროა საუმაწვილო ჟურნალებს „ნაკადული“-ს და „ჯეჯილის“ გამოწერაც, რომლებიც ბავშვს ერთობ განავითარებს დედაენაზე.

მეხხი კ. გვარამაძე.

## იგნატე ნინოშვილის ხსოვნისათვის.

ჩვენს ბელეტრისტ ეგნატე ნინოშვილს (ინგოროყვას) იმდენი ამაგი და ღვაწლი მიუძღვის ჩვენის მწერლობის წინაშე, რომ მისი ხსოვნა დაუვიწყარი და წაუშლელი იქნება ქართველთა გულში და პატივისცემით და მადლობით მოიხსენიებს მომავალი თაობაზე.

მისი ძეგლის დადგმაც ხომ გადაწყვეტილია, ფული შეგროვილი (ორას თუმანზე მეტი) და ახლო მომავალში დაიდგმება.

ამას წინად მის სოფელში მე და ჩემი მეგობარი ვიყავით და ნინოშვილის სამარეც ვინახულეთ.

ხანჩეთის ეკლესია, რომლის ეზოშიაც დაკრძალულია ნინოშვილი, მშვენიერ მაღლობ ადგილზეა წარმოდგარი. სამარე ნინოშვილის პატარა ბიძაშვილმა მიგვასწავლა. მასაც ეგნატე ჰქვიან. ადგილობრივი სკოლა დაუმთავრებია. მეტად ცქვიტი და ნიჭიერი ყმაწვილია. სიღარიბისა გამო სწავლის გაგრძელება არ შეუძლიან.

იმედი გვაქვს ჩვენი საზოგადოება ეგნატე ნინოშვილის პატივსაცემად, პატარა ეგნატესაც სწავლის გზას გაუხსნის და მის ნიჭიერებას განვითარებლად არ ჩააჭკნობს.

ამასთანავე რედაქციას ვუგზავნი მის სასარგებლოდ 1 მანეთს.

გ. მახხულია.

რედაქციამ მიიღო ეგნატე ინგოროყვს სასარგებლოდ მახხულიასგან 1 მანეთი.

## თეატრი და ხელოვნება

**ბენეფისები ქართულს თეატრში.** იანვარში ქართულს თეატრში დანიშნულია ოთხი ბენეფისი: ხუთშაბას, 13 იანვარს—ალ. კარგარეთელისა, წარმოდგენილი იქნება სუმბათაშვილის „ღალატი“; კვირას, 16 იანვარს, ვალ. გუნიასი—„სამეგრელოს მთავარი ლევანი“, ძ. ყიფიანისა; 20-ს—ხუთშაბათს—ნ. ნ. დავითაშვილისა—„მონა ვანნა“, მეტერლინკისა; 27-ს—ხუთშაბათს ჩერქეზიშვილისა „ნიგილისტკა““ ექ. გაბაშვილისა, ხოლო თებერვალში სამი ბენეფისია: 2 ვლ. ალექსი-მესხიშვილისა—„მეფე იოანე მრისხანე და მისი ცოლი ვასილისა“, 10-ს ჯავახიშვილისა—„შევლობა—ვენეციელი ვაჭარი“ შექსპირისა.

სეზონი გათავდება თებერვლის ოცში და წარმოდგენილი იქნება „მხეცრპლი“ გედევანიშვილისა.

**ქუთაისი.** ქუთაისის დრამატიული დასი ამზადებს ახალ ორიგინალურ პიესას, ილია პონტელისას „საშინელი ბრძოლა“, თანამედროვე სურათი 5 მოქ. ეს პიესა კარგა ხანია, რაც რომ დაწერილია და ჩვენს პრესაში დაბეჭდილიც იყო, ასე რომ თავის დროზე ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ჩვენს ინტელიგენციის შორის, რადგან პიესა განსაკუთრებით მათ შეეხება, ამიტომ ჯერ-ჯერობით შინაარსზე ლაპარაკი მეტია.

პიესა დაწერილია კარგის ენით და ძლიერ საინტერესო და მოსწრებული მომენტია აღებული. პიესაში ბევრი ჩვენი საზოგადო მოღვაწეები და უქმაქეები არის გამოყვანილნი.

ამ პიესის დადგმა სხვადასხვა ტეხნიკურ და ბევრ სხვა მიზეზებისა გამო არ შეიძლებოდა.

ქუთაისის დრამატიული დასი პირველად ითამაშებს კვირას, 9 იანვარს და მაშინ შეგვიძლია ვიქონიოთ სრული წარმოდგენა თუ რა მწვავი საკითხი ირჩევა ამ „საშინელ ბრძოლაში“.

ჭი-ჭი.

**ქუთაისი.** 4 იანვარს, იუბილე გადაუხადეს ჩვენ ნიჭიერ მსახიობს კ. მესხს. უნდა ვსთქვა, რომ იუბილემ მეტად სუსტად ჩაიარა. ზოგიერთი მილოცვები კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა. მოხდენილად წაიკითხა ლექსი მუშების წარმომადგენელმა პრ. გუჯაბიძემ და კარგი იყვნენ სიტყვები ჩიქოვანისა, ნ. ჩხეიძისა, ჭუმბურიძისა და ბარველის. დ. მესხმა საზოგადოება გამოაფხიზლა და ბევრი აცინა. ორივე პიესაში იუბილიარი შესამჩნევი იყო. დღესასწაული იუბილიარის სიტყვებით გათავდა: —„აი ამ კედლებში—სთქვა მან, ბევრჯერ გამომივლია მწუხარება და ქირი... ბევრჯელ კიდევაც მიტირია, მაგრამ ყველა ეს წარიხოცა, და ეხლა გხედავთ თქვენ. ჩემი მადლობა მხოლოდ იმით გადახდილ იქნება,—რომ თუ ძალი და ღონე ნებას მომცეს, ისევ სიყვარულით ვემსახურები ჩემს პატარძალივით მოქარგულ საქართველოსაო“!..

ხე—ლი.

## უცხოეთი

**ინგლისი და საფრანგეთი.**

ლონდონის პრესის სამთა სახელმწიფოთა შეთანხმების (რუსეთი გერმანია და ავსტრიას შორის) შესახებ გამოქვეყნებამ საფრანგეთში დიდი გულდასმით მსჯელობა გამოიწვია.

ინგლისურ რადიკალური გაზეთები საფრანგეთს ამტკუნებენ, რომ ამ უკანასკნელმა ინგლის-რუსეთის დაახლოვება დამგაბრობას შეეცადა და ისიც „ამავნად სპარსეთისათვის“; ესე იგი იმ განძრახვით შეამხანაგნენ ინგლის-რუსეთი, რომ სპარსეთის დამოუკიდებლობა მოესპოთ-ო.

ინგლისური პრესა იმასაც აღიარებს რომ ლონდონ-პარიზის შორის გულგრილი განწყობილება ჰსუფევსო.

**გერმანია და ინგლისი.**

Timps და Daily-Mail-ის ანტიგერმანულმა წერილებმა აქაურ დიპლომატიურ მოღვაწეებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ზომიერ-დასახელებულ გაზეთების გამოცემებს იმას მიაწერენ, რომ ერთის მხრივ „დაილი ნევს“-ის წერილი ინგლის-გერმანიის დაახლოვების შესახებ შეასუსტონო და მეორე მხრივ საფრანგეთ-რუსეთზე ზნეობრივ გავლენა მოახდინონ, რომ ეს ორი სახელმწიფო გერმანიას დააშორონ-ო.

რაც შეეხება იმ ხმებს, ვითომც არსებობდესო გერმანია-რუსეთ-იაპონიას შორის საიდუმლო კავშირი ჩინეთის გაყოფის თაობაზე,—ეს მტკნარი სიცრუეა-ო.

საერთო გერმანიის პრესის უკმაყოფილება კიდევ იმან გამოიწვია, რომ Keln. stg. განაცხადა: ამ მოკლე ხანში რუსეთის ნოტა აზიის საქმეებს შესახებ გამოქვეყნდება, მაგრამ არაფერი ითქმება გერმანია-რუსეთის დადგენილებაზედა-ო.—ერთ-ერთის დაუკითხავათ არა მოიქმედონ რა“. რა თქმა უნდა Koln. stg. ცნობა სრულიად აბათილებს ცნობილ განცხადებასი კანცლერისას რეიხსტაგში.

**ლონდონი.**

სამთა სახელმწიფოთა შეთანხმებაზე „დაილი ნევს“-ი შემდეგსა სწერს, ინგლისის ლიბერალებს იმ გვარივე კეთილ განწყობილება გერმანიასთან სწადიათ, როგორიც საფრანგეთთანა არის, მაგრამ ამის შემაფერხებელი ის დათაიებაა რომელსაც საფრანგეთ-რუსეთის და ინგლისის კავშირის მტკიცეობის შესახებ ავრცელებენ-ო. გარდა ამისა საზღვარგარედ ტყუილ უბრალოდ წარმოუდგენიათ, ვითომც ინგლისში ლიბერალთა მდგომარეობა დროებითი, ცვალებადი ხასიათი ჰქონდეს და არა მტკიცე სრულიად უსაფუძვლოა, ვიფიქროთ, დღევანდელ პირობებში, რომ ლიბერალების ადგილი კონსერვატორებმა დაიკავონ, და ეს უკანასკნელი კი გერმანიასთან მტრულ მოქმედების მომხრენი იყვნენ. დღეს დღეობით და ნ-ლონის კაბინეტის ცდით ამ ორ სახელმწიფოთა შორის განწყობილება კეთილდებით გამოკეთდება.

დასასრულ „დეილი-ნიუს“-სი ვასაც ჯერ არს ურჩევს, ისტერიელ-შოვინისტურ ბიღვას ბალფურისას, ლორდ ბერესფორდის და სხვათა ყურადღებას ნუ მიაქცევთო.

**რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვა პორტუგალიაში.**

პორტუგალიის ნორჩს რესპუბლიკას კიდევ ახალი ჭირიღობა დაასვეს ამას წინად იქ დაწყებულმა რკინის გზის მუშათა გაფიცვამ, რომელმაც პირველად მხოლოდ ერთს ადგილას იფეთქა, მეტად სერიოზული ხასიათი მიიღო და მთელს პორტუგალიას მოედო. ახალწლის წინა დღეებში საქმე აქამდე მივიდა, რომ საერთაშორისო მატარებელთა მოძრაობაც შესწყდა.

გაფიცულებმა მოითხოვეს: 8 საათის სამუშაო დღე და კვირაში ერთის დღით სრული დასვენება. გაფიცვა გამოცხადებულ იქმნა წინააღმდეგ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისა, რომლითაც მოსამსახურენი მოვალენი იყვნენ თავიანთი განზრახვა 8 დღით ადრე განეცხადებინათ.

გაფიცვის კომიტეტმა სასტიკად აკრძალა ძალადობის ხმარება გაფიცულთა მიერ, რაიც სავსებით შესრულებულ იქმნა. ფოსტას ავტომობილები ზიდავდნენ. ბევრს ადგილას ავტომობილებს მგზავრებიც დაჰქონდათ, რასაკვირველია, დიდის ფასით. ხალხისთვის ეს გაფიცვა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ გაფიცულთა მოქმედებით მეტად უკმაყოფილონი დარჩნენ. შინაგან საქმეთა მინისტრი ალმეიდა, რომელსაც დიდი გავლენა აქვს, იმის მომხრე იყო, რომ რკინის გზის კომპანიებს გაფიცულთათვის დაეთმოთ. მინისტრთა საბჭო მას არ დაეთანხმა, ამიტომ უკანასკნელმა სამსახურიდან გადადგომა მოინდომა, მაგრამ დროებით მაინც დასტოვეს თავის თანამდებობაზე.

გაფიცვის კომიტეტმა ესპანიის რკინის გზის მოსამსახურეთა ფედერაციას დახმარება სთხოვა და კიდეც მიიღო შემწეობა ფულად.

რესპუბლიკური პრესა გაფიცულებს ურჩევდა, დათმობის გზას არ დასდგომოდნენ. რადიკალურმა პრესამ კი აღნიშნა: მართალია მოსამსახურეთა მდგომარეობა ძველის რეჟიმის დროს ცუდად მოეწყო, მაგრამ მათ მაინც არ უნდა დაივიწყონ მოვალეობა რესპუბლიკის წინაშე და განსაცდელში არ უნდა ჩააგდონ ახალი რეჟიმი.

30 დეკემბერს საქმე სასურველად გათავდა. მოლაპარაკება გამართა დროებით მთავრობასა და მოსამსახურეთა დელეგატების შორის. მთავრობამ დელეგატები დაარწმუნა, გაიძულებთ რკინის გზის კომპანიებს, თქვენი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილონ და გაფიცვაც შესამჩნევად მინელდა.

## სამეცნიერო ცხობა

**დუაიენის „მიკოლიზინი“**

საფრანგეთის ცნობილმა ხირურგმა დუაიენმა თავის გამოკვლევა იმმუნიტეტის თაობაზე გამოაქვეყნა. ამის შესახებ წინად პარიზის მეცნიერთა დარბაზში რამდენიმე ლექცია წაიკითხა და დიდი ყურადღებაც მიიქცია. ექიმ დუაიენის გამოკვლევა თითქმის სრულებით სპობს იმ ზომებს, რომელიც ეგრედ წოდებულ, საქირურგო თერაპევტიკაშია მიღებული.

საქმე ისაა, რომ დუაიენს ახალი წამლით „მიკოლიზინი“ ადამიანის სხეულის აგებულება სხვადასხვა გადამდებ და მოარულ სენის საწინააღმდეგოდ თვითვე იქნება შეიარაღებულიო.

„მიკოლიზინი“ დასალევიცაა და შესაშხაპუნოც, იგი ფიტოციტოგენის სითხისაგანაა მომზადებული.

დუაიენს მრავლად მოჰყავს მაგალითები სხვადასხვა სენით შეპყრობილთა განკურნებისა. მის გამოკვლევებს დაუმტკიცებია თურმე, რომ პრონხიტით ავადმყოფი 5—6 დღეში განიკურნება, თუ დღეში „მიკოლიზინს“ ლიტრის კოვზით სამჯერ ან ოთხჯერ მიიღებს. უკიდურეს შემთხვევაში, საჭიროა კან-ქვეშ შეშხაპუნება. თუ ბ-ნ დუაიენს დავუჯერებთ, „მიკოლიზინი“ ხურების, ნაწლევების ანთების, ერუზეპელის (ერთგვარი გადამდების კანის ანთება), მშობიართა ანთების და ციებ-ცხელების უებარი წამალია. კიბოს (კუს) და ჰლექიანთაც მიკოლიზინი სათანადო ვაქსინით შეზავებული ძლიერ [illegible] აიენი თავის წიგნში იმას [illegible] ნავს, რომ ქირურგიამ ეს წამალი ფაგოგენის შემწეობით უნდა გამოიყენოსო. მაგალითად, ყრუ ნაწლევის მოჭრა საშიში აღარ არისო, ე. ი. „მიკოზილინის“ შეშხაპუნება ავადმყოფს საწინააღმდეგო საშუალებას აძლევს ჰმატებს და ამით პერიტონიტის შეჩევას აცილებს.

„მიკოლიზინი“ სრულებით უვნებელია—სნეულების არავითარ გართულებას არ იწვევს.

თუ დუაიენის ახალი აღმოჩენა მართლა აგრე უხდება ზემოდ ჩამოთვლილ სნეულებათ, მისი სახელი დიადაც დაუვიწყარი გახდება კაცობრიობისათვის.

## წვრილი ამბები

**ეპისკოპოსი და ანტი-ქრისტენი.**

ეპისკოპოს სტეფანს ახალ-წელს მოვლენის შემდეგ სიტყვა წარმოუთქვამს და ტოლსტოი, გორკია, როზანოვი, მერეჟკოვსკი და არციბაშევი ჩვენ თაობას ანტი-ქრისტედ სახელით მოუნათლავს.

**პუშკინი და დეკაბრისტები.**

თავად პაოლო ტრუბეცკოის საოჯახო არქივში პუშკინის დაუბეჭდავი ნაწერები უნახავთ, სადაც პოეტი დეკაბრისტებზე სწერს.

**გრ. კონოვნიცინი და „აკადემისტები.“**

გრაფ კონოვნიცინს უთქვამს, რომ აკადემისტების მოძრაობა სტუდენტების არეულობით ჩაიშალაო. აკადემისტებს გრაფი ჯაშუშებს უწოდებს, იგინი, ვითომ მამულიშვილურის გრძნობით არიან გამსჭვალულნი და მოურიდებლად მაბეზღრობენ, ჩხუბსა და აყალ-მაყალსა სტეხენ და ჯაშუშობენო.

**მიკადო და რუსეთის ემიგრანტები.**

ტოკიოს ოფიციოზური გაზეთი ამბობს ტოკიოს შეთქმულება რუსის ემიგრანტებმა მოაწყეს და იაპონიის მეფის მოკვლა სურდათო.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ნება მოგვცე უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ფერშალ დიმიტრი ჯიბუტოს, რომელმაც სადგურ სუფსაში შეაგროვა ათი მანეთი და 15 კაპ. ამაღლების საქალებო ორ კლასიანი შკოლის სასარგებლოთ ამასთანავე გთხოვთ შემომწირველთა სია დაგვიბეჭდოთ 1. დიმიტრი ა. ჯიბუტი 2 მ. გრიგოლ ლეჟავა, პლატონ დ. მშვიდობაძე, დიმიტრი გიგინეიშვილი, ირაკლი ჭყონია, ისიდორე ხურციძე, კოწია ჭანტურია, პავლე ვადაჭკორია, ბაძუშელია, ალისტრო მშვიდობაძე, გიორგი ქინქლაძე ბათლომე ჩხარტიშვილი და იასონ ჯაში ათ-ათი შაური: მუხამედ ჩებიოლლი 45 კაპ. ჯიმშეთი ტუღუში 40 კაპ; მიხაილ დარაცმელია, მელიტონ ივ. დოლიძე და იაკინთე გოგუა 20 კაპ., ოსმან ქერეჯოღლი 25 კაპ., ნოე დუმბაძე, დარჩო ავთანდილოვი, ნიკო ბარამიძე და ირაკლი ხომერიკი ორ-ორი შაური: გრიგოლ ჩხაიძე 5 კაპ. სულ ათი მანეთი და 15 კაპ.

კომისიის მონდობილობით მღ.

ბესარიონ დოლიძე.

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესად დაუთმოთ ადგილი თქვენ პატივცემულ გაზეთში, რომ ჩემს უღრმეს მადლობას ვუცხადებ ვიქტორ ბაქრაძის ძე ქავთარაძეს, რომელმაც სოფ. ჭალის სკოლის ღარიბ მოსწავლეთათვის თავის უკვე განსვენებულის ასულის თამარას სახლიდან შემოსწირა ჟურნალი „ნაკადული“ წარსულ წლის ნომრები.

მასწავლებელი ახორშილაძე.

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესად ნება მომცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო ბ-ნთ: კ. ყიფიანს, ა. ადამიძეს, თურდოსპირელს, ქურიშვილს და სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრეს 22 დეკემბერს ჩემ სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებისათვის, და ყველა მათ, ვინც ზნეობრივად თუ ქონებრივად რაიმე დახმარება აღმომიჩინეს.

ნ. ცუცქირიძე.

ბ.-ნო რედაქტორო! ამაღლების მომავალი ორ-კლასიანი საქალებო სკოლის აღმშენებელი კომისია უმორჩილესად გთხოვს ნება მისცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით გამოუცხადოს ყველა იმ პირთ, რომლებიც ხსენებული სკოლის ს.სარგებლოდ ფულს აგროვებენ, დღეიდგან შემოწირულება გამოგზავნონ თეოფილე ჩიჩუას სახელზე ჩოხატაურში.

ამასთანავე უმორჩილესად გთხოვთ ნება მოგვცეთ თქვენი გაზეთით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ილიკო გიგოს ძე დოლიძეს და ივანე ჩხაიძეს, პირველმა

შეაგროვა 10 მ. და 65 კაპ. ქ. ტფილისში ხოლო მეორემ 14 მ. 50 კაპ. ქ. ბათუმში. გთხოვთ. 1, აპოლონ დოლიძე, თეოფილე და ილიკო დადლიძეები თითო მანეთი. ირაკლი ქანთარიამ, ლავრენტი შენგელიამ, ამბაკო კალანდაძემ, ვარლამ ვაშაკიძემ, ივანე თელიამ, სერაპიონ ანთაძემ, ხ. სიხარულიძემ, ლუარსაბ ბერიშვილმა კაპიტან სიმონიამ და მაკარი მახარაძემ ათ-ათი შაური. კოსტა მებიშვილმა და ვასილ ლაფერაშვილმა ექვს-ექვსი შაური; დავით დუნდუამ და გრიგოლ ოდიშვილმა ხუთ-ხუთი შაური, სიმონ ცომაიამ, ალექსანდრე ალხაზოვმა და გიგო ნატრაძემ თითო აბაზი და არსენ ცატარაძემ სამი შაური. ივანე ჩხეიძემ ორი მანეთი, ნ. საბაევმა სამი მანეთი, ეკატირინე პოპოვმა მანეთი; კოსტა თოფურიამ ამბაკო ფილიამ, არტემ გეგენავამ, ალიოშა პოპოვმა, ერმალო გეგენავამ, ალექსანდრე ჩხაიძემ, ივანე თოფურიამ, მიხაკო ქემოკლიძემ, ვლადიმერ ლომიძემ, სიმონ იმნაძემ, ონოფრე ცინცაძემ. სიმონ ურუშაძემ, პეტრე დანელიამ და ილიკო მეგრელიშვილმა ათ-ათი შაური. ლუარსაბ გაბუნიამ ექვსი შაური: ლუკა გურამენიძემ, ზაქრო ხითავრიამ, ვარლამ ხარაძემ, პავლე ბაბკაიამ და სიკო ფილიპოვმა თითო აბაზი.

კომისიის მინდობილობით მღ.
ბესარიონ დოლიძე.

დ. ა. ბოლიშს ვიხდით შემომწირველებთან დაგვიანებისათვის, მაგრამ ეს წერილი გაგზავნილი იყო გაზ. „საქმის“ რედაქციაში და დაკეტვის გამო აღარ დაიბეჭდა. მღ. ბეს. დოლიძე.


# განცხადებანი

გამოვიდა და იყიდება
ი. დ. კიკნაძის წიგნის მაღაზიაში
— ახალი წიგნი —
თ-დი ა. დ. ერისთავი
(რჩეული თხზულებანი)
გამოცემა დავ. დ. კილოსანიძისა.
მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „Новая Рѣчь“. 1—24—1

სპეციალური
სამკურნალო
კანისა, ვენერიულის და ათაშანგის სნეულებათა.
გოლოვინსკის ქ. N 9, გარანცოვის ძეგლის მახლობლად.
ავადმყოფებს ყოველ დღე მიიღებენ ექიმები გ. ა. გედევანი და ი. მ. ზაბლუდოვსკი 1—5 საათამდე და საღ. 7 ნახ.—8 ნახ. მანდილოსანთა და ბავშვთა ილება 4—5 საათამდე, ანალიზები, შეზვევა, ძიძათა მოსამსახურეთა და მუშათა შემოწმება.
შესვლის ფასი—40 კ. კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
ერლიხ-ხატას პრეპარატით 606 წამლობა, ელექტრონით წერილი. (0—6—5)

◀ მშობიარეთათვის ▶
თავშესაფარი
ბებია-ქალის
თუხარელისა.
ოლგას ქ., ხაბებიოლ ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.
მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—4-დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—44)

მიმდინარე წლის 30 დეკემბრიდან
გაიხსნა
მუხრანსკის ახალი კერძო
სამკურნალო
მუდმივის საწოლებით.
Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.
ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.
ნ. მ. ახპიხოვი—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.
გ. ა. ახვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.
ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.
ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.
ქ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (ორშ., ოთხშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.
ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.
ი. გ. კალამქაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.
ა. ი. კატანიანცი—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.
მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. სნეულ (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.
გ. ა. მელკონიანი—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.
ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.
ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით 606 (Ehrlich-Hata 606).
დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.
სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—5—5)

მშობიარეთა თავშესაფარი
✦ბებია ქალი✦
მ. ი. კრემერისა
ნიკოლოზის ქ. სახ. № 47.
მშობიარენი და ორსული ქალები მიიღებიან დროს განუსაზღვრელად—დღითაც და ღამითაც. მშობიარეთ კარგად უვლიან, საექიმო დახმარებას მუდამ უწევენ, არის ოთახები ისეთ მშობიარეთათვის, რომელთაც საიდუმლოდ სურთ მოილოგინონ. პირობები საერთო პალატაში 2 მ. დღეღამეში, მშობიარობის დროს დახმარება 6 მანეთი, ნომერში მოსათავსებელ და გინეკოლოგიურ ავადმყოფთ ფული გადახდებათ წინასწარ მორიგების თანხმად. ქალთა სენით ავათმყოფთა მიღება და ძიძების გასინჯვა ყოველ-დღე დილის 12 1/11 1/2 საათამდე (100—276—12)

ქ. თელავში
ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე
ჭრა-კერვის
● წიგნი ●
თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით.
ახალი მეთოდი.
ექვს ნაწილად: ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული
სოფიო ი. სიმონოვის მიერ.
ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софiи Iосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ. (100—336—4)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობის
სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
ძმ. ძეძველოვების
● მაღაზია ●
პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის
✦ ახალ-ახალი ✦
ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).
ხიზილალა
ახალი (Зернистая).
—◀ პარკისა და კოლოფებით ▶—
საუკეთესო დოშები და ზურგიელები
ილემულია დვინის ორაგული (სიომგა)
მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან და წითელი ხიზილალა (Кетовая). 50 კ. 60 კ. გირ.
აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები. (წ—128—75)
ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.
(Кетовая) ხიზილალა (Кетовая) ხიზილალა

# სინჯეთ და დარწმუნდით!
ინგლისის ქარხნის საპნით ნარეცხი თეთრეული,
შესინჯეთ და პირადად დარწმუნდებით, რომ ინგლისური ქარხანა კლინბალ ლიმიტედის ● ვაშენეს ● საპნით გარეცხილ თეთრეულს 1 1/2—2 წლის მაგიერ 6—8 წელიწადს ატარებთ.
იგი სრულიად უვნებელია და უმანქანოდ, ხელების გაუფუჭებლად 15 წუთში გარეცხავთ თეთრეულს.
სიყალბის თავიდან ასაცილებლად, გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ მთავრობის მიერ დასტამბულ მარკას № 10499—12752.
მთავარი წარმომადგენელი ვიქტორ ზატკალიკი,
შიდა-კავკასიის წარმომადგენელი ზ. ნ. ხრხრიანცი
და ტ ზ. ბახშინოვი.
С.-Петерб., Ст. Больш. пр., № 92.
(15—322—7) Тифлисъ, Елизаветинская, № 192.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო
წონისა და ზომის
ტფილისის № 2-რე შემმოწმებელი პალატა,
(მიხეილის ქუჩა, № 117).
ამით იუწყება, რომ სავაჭრო დებულებათა მე-748 და მე-758 მუხლის თანახმად, ყველა საწონსა და საზომს შემმოწმებელ პალატის სათანადო დამღა უნდა ესვას;
ამ დამღას სამის წლის განმავლობაში აქვს ძალა,
რის გამოც სთხოვს ყველა სავაჭროსა და ვაჭრობა-მრეწველობის, სააფთიაქო საწყობთ, ქარხნებსა, ზავოდებს, კანტორებს, ბანკებსა და ყველა სხვა კერძო, სახოგადო თუ სახაზინო დაწესებულებათ, ყველა საზომები, საწონები, საყენები, არშინები, ღვინისა, არყისა, სპირტისა, ლუდისა და რძის საწყაონი, წყლისა, ლუდისა, არყისა და სხვათა ბოჭკები, ყველა, რითაც კი იზომება და იწონება რამე და რომელსაც 1908—10 წ. დამღა აზის, წარმოადგინონ განმეორებით დამღის დასაკრავად. საწინააღმდეგო შემთხვევაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ, საზომები და სასწორნი, სანიმუშო დამღიანი და უდამღო რევიზიის დროს ჩამორთმეულ და პატრონნი სჯულთა დებულების მე-1176 მუხ. ძალით პასუხის-გებაში მიეცემიან. საწყაო და საზომი ნამდვილი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში დამღას არ დაჰკრავენ და მოტანილი გარდასახადიც აღარ დაუბრუნდებათ.
ვადა ტფილისისათვის 1911 წ.
ტფილისის მაზრ. მცხეთის ნაწილ., დუშეთის მაზრ.
იანვარში—1, 2, 3 და 4 საპოლიციო ნაწილში. თებერვალში—5, 6, 7 და 8 საპოლიც. ნაწილში. მარტში—9, 10, 11 და 12 საპოლ. ნაწილში.
ქვემოდ ჩამოთვლილ ადგილებში, სადაც შემმოწმებელი გაიგზავნება:
აპრილს—ოზურგეთსა და ჩოხატაურში. მაისს—კულაშსა, საჯავახოსა, ჯიხაიშსა, ქუთაისსა, ბაღდადსა და ვანში. ივნისს—ზორაპანსა, ყვირილასა, საჩხერესა, შიათურასა, ბელაგორსა, სურამსა და მიხაილოვში. ივლისს—ბორჯომსა, ცხინვალსა და ახალქალაქში. აგვისტოს—აბაშასა, სუჯუნასა, ქარელსა და გომში. სექტემბერს—ბათუმსა და ჩურუქსუში. (1—18—1)

საკერავი მაშინა
ზინგერის კომპანიისა
იყიდება
მხოლოთ კომპანიის საკუთარ მაღაზიებში
ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილ 1 მანეთიდან
ხელის მაშინები ფასად 25 მანეთიდან
მაღაზიის ნიშანი.
უფთხილდით სიყალბეს
მაღაზიები ყველა ქალაქებში.
(0—246—7)

დოქტ. ნავასარდიანისა
უოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
დილით:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ყ. მ. ჩიქოვანი: 9 1/2—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1 1/2 ს. შინაგან. და საბავშვო.
ბ. გ. აგასაროვი: 1 1/2—2 ს. შინაგდა ბავშვთა ავად.
საღამოთი:
ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
თ. მ. გევეხკაია-ენგელი: 6—6 1/2 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

უფლებით აღჭურვილი
სავაჭრო სკოლა
საბუღალტრო კურსები
უცხო ენების სწავლით
ივ. ზაქ. ტერ-სტეფანოვისა.
თხოვნები 15 იანვრამდე მიიღება.
Разъѣжая ул., № 19, противъ Воронцовск. памятника. (3—17—2)

მოითხოვეთ ბუნებრივი კახური ღვინოები ფირმისა
●● გრანდ-კახეთია ●●
შუა ბაზაზარი, სახლი 13.
ფასები: ბოთლი 20—50 კ., ვედრობით 2 მან. 40 კ.-დან 6 მ.-მდე მიტანით.
ღვინის საწყობთან არსებობს საუცხოვო სამზარეულო ევროპიულს და კავკასიურ საჭმელებისა.
(20—240—20) პატივისცემით ნ. გ. ჩაგუნავა და ს. სამადაშვილი

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
საბუღალტერიო კურსები
ნ. ვ. აბრამიანისა.
სახელ. „ვაჭრობ. და ნავთის წარ. ბუღალტერიის სახელმძღვანელოს“ ავტორი, რომელიც მოწონებულია ფინან. სამინისტრ. სამცხწ. განყოფილ. მიერ, როგორც სახელმძღვანელო კომერციულ სასწავლებელთათვის,
◀ ასწავლიან და ამზადებენ ორივე სქესის პირთ ▶
უკანასკნელ გაუმჯობესებულ მეთოდით ოთხის თვის განმავლობაში სხვა და სხვა სისტემის ბუღალტერიას და საკომერციო სპეციალურ საგნებს. გარდა არსებულ საგანთა სწავლებისა, კურსებზე ასწავლიან უცხო ენებს, სტენოგრაფიას და რემინგტონს.
კურსების მასწავლებლებად უმაღლეს სასწავლებელში კურსდამთავრებულნი და თავიანთ საგნის სპეციალისტები არიან.
სწავლა დაიწყება 15 იანვარს 1911 წ. პერიოდულად ყოველ 4 თვეში ნახადილევს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე, საღამოს 4—7 საათ. და დილის 9—12 საათამდე. კურსის შესრულების შემდეგ ეძლევა ატესტატი ფინანსთა მინისტრის ნებართვით.
ამას გარდა კურსებთან ცალკე გახსნილია საგანგებო რუსულ ენისა და არითმეტიკის მოსამზადებელი კურსები ნაკლებად მომზადებულთათვის.
წესდება და პროგრამები ეგზავნებათ მსურველთ უფასოდ. მსურველმა უნდა მიმართოს წერილობით თუ პირადად. კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, N 22. ტელეფონი 744.
ზემოდ-დასახელებული სახელმძღვანელო იყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიებში. ვინც პირდაპირ ავტორისაგან ფასდადებით გამოიწერს—გასაგზავნ ფულს არ იხდის. ფასი თითო ცალისა 3 მ. 50 კ. (0—292—8)



ალექსანდრე
თაბაგრის
მაღაზია
საკერავი და საქსოვი მაშინები
ქუთაისი ალექსანდროვის ქ.
გრამოფონები, ველოსიპედები
და მათი მოწყობილება დამზადებულია საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებში, რის სიკარგეშიც ვიძლევი გარანტიას. ფასები საქარხნოა (ზომიერია), როგორც ნაღდ ფულზედ, აგრეთვე ნისიათ (თვიურად შემოტანით). ჩვენს საკერავ მაშინებს აქვს წარწერა. „ПО ОСОБОМУ ЗАКАЗУ—А. Р. ТАБАГАРИ КУТАИСЪ“, რომელიც უტყუარია და მყიდველებისაგან მაქვს მადლობის წერილები. მყავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება ყველაფრის კარგად და ზომიერ ფასებში



გრამოფონის პლასტინკები ახალ-ახალი მოდის ყოველ კვირა.
(50—269—6) ფოსტის ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари.

ფირმა არსებობს 1840 წლ.
სავაჭრო ნიშანი
ფირმის წლ. შემოსავალგასავალი 50 მილ.
უმაღლეს ხარისხის
ჩაი
გუბკინ
კუზნეცოვის ამხ-სა
იშოვება ყველგან
ნაღდ და უავის ვაჭრობა ნაღდად
ტფილისის კანტორა: ველიამინოვის ქ. № 12 ტელეფონ. № 964.
(20—140—9)

პატეფონი
ძმათა პატე პარიზში.
საუკეთესო მოლაპარაკე მანქანა
● ნემსების გამოცვლა არა სჭირდება, არა ხრიალებს ფირფიტები, არა ფუჭდება! ●
ახალი ამბავი: პატეფონი უერუკორო.
№ 1 ფასი 50 მან. № 3 ფასი 65 მან.




ფირფიტების დიდი რეპერტუარი ყველა ენებზე
კავკაზიაში ახლად ჩაწერილები. საზოგადოების სათავეო ა. დავიდოვის ჩაწერილები
ნოემბრის გამოჩენილი ფირფიტები:

ა. მ. დავიდოვი
არტისტი იმპ. მარინის ოპერისა.
24374. არია, ოპ „აფრიკანკა“, აკ. ორკ. (მეიერისა).
24373. „უკანასკნელია დღევანდელი დღე“, აკ. გიტარისა, პროფ. ამიჩისა.

ნ. ვ. პლევიცკისა.
(საუკეთესოდ შემსრულებელ რუსულ ხალხურ სიმღერებისა).
26640. „უხარ კუპეც“.
26730. „უკანასკნელია დღევანდელი დღე“.

ციგანთა ორკესტრი
39425. ა) „ორჯელ ჰყვავის აკაცია“ და ბ) ვადაჩონ“, ჩორდაშ.
39457. „ალტაცება“, ვალსი.
39453. „როს სიყვარული ჰქრება“, ვალსი კრემიესი.
39469. „სცვივიან ფოთოლნი ცაცხვისა“ და „ბალატინის ტალღებზე“.

მ. ა. მესკისა.
სათეატრ არტისტ.
27245. „ნატვრა“, აკ. როიალ.
27251. „მიწყნარებ. ზღვასთან“. აკკ. როიალის.
27246. „თქვენვე მიხვდით“. აკკ. როიალ.
27252. „ერთხელ ტყეში ვსეირნობდი“, როიალ. აკკ.

კავკასიის აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების იჯარადარი.
ერთად ერთი წარმომადგენელი კარლ შუმან. ტფილ. გოლოვინის პროსპ.
(9—247—6


მადათოვის კუნძული სტამბა „ხორაპანი“ ტელეფ. № 591. რედაქტორ-გამომცემელი ირაკლი ტონდუაშვილი.